პროგრამული პროექტი - „ქართველი და აფხაზი ახალგაზრდების ჩართულობა ნდობის აღდგენისა და შერიგებისათვის“ (თბილისი 21-23 ივნისი)

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატი, პროგრამის - ,,სამშვიდობო ინიციატივები, სამოქალაქო ინტეგრაცია, ნდობის აღდგენის მხარდაჭერა და დიალოგისაკენ მიმართული შესაძლებლობების გაძლიერება'' ფარგლებში განახორციელა პროექტი ,,ქართველი და აფხაზი ახალგაზრდების ჩართულობა ნდობის აღდგენისა და შერიგებისათვის“.

პროექტი მიზნად ისახავდა კონფლიქტის შედეგად გახლეჩილ ქართველ და აფხაზ ახალგაზრდებს შორის კომუნიკაციისა და ურთიერთობების გაძლიერებას, ეროვნული კულტურული ღირებულებების შესახებ ინფორმაციის გაზიარებას. პროექტი ითვალისწინებდა, ასევე, მონაწილეების მიერ სამომავლო თანამშრომლობის გეგმების შემუშავებას, ანალიტიკური აზროვნებისა და აქტიური მოქალაქეობის განვითარებას, რაც მნიშვნელოვანია ნდობის მშენებლობისათვის და კონფლიქტით დაზარალებული საზოგადოების წინაშე არსებული გამოწვევების დასაძლევად. ახალგაზრდები შეძლებენ მიღებული ცოდნა ფართოდ გამოიყენონ მულტიკულტურულ საზოგადოებასთან დიალოგის დროს. პროექტი ხელს შეუწყობს ინოვაციური მიდგომებისა და სამშვიდობო ხედვების გამოვლენას, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მომავალი თაობების ეროვნული იდენტობის სწორად ფორმირებისათვის. აღნიშნული შეხვედრები დააახლოებს კონფლიქტის რეგიონში მცხოვრებ ახალგაზრდებს, გადაიდგმება პრაქტიკული ნაბიჯები ნდობის აღდგენისა და შერიგებისათვის.

პროექტის შედეგად მოხდება ცნობიერების ამაღლება და სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაზრდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და პოპულარიზაციის მიმართულებით,

პროექტში მონაწილეობა მიიღო 20 ახალგაზრდამ (10 ქართველი და 10 აფხაზი).

აღნიშნული პროექტი მოიცავდა შემდეგ კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებს:

1. დისკუსიები თემაზე: ,,ქართულ-აფხაზური ურთიერთობები, წარსული და მომავალი“.
2. ფოტოგამოფენის მოწყობა, რომელზეც უკვე ერთი თვეა მუშაობენ აფხაზი ახალგაზრდები აფხაზეთის ტერიტორიაზე, სადაც იღებენ ფოტოებს აფხაზეთის დღევანდელობასთან დაკავშირებით.
3. პროექტი ითვალისწინებდა, აგრეთვე, კულტურულ-საგანმანათლებლო ტურს ძველ თბილისში, სადაც ტოლერანტობისა და მეგობრობის უამრავი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია.
4. პროექტის მონაწილეების შეხვედრა პატრიარქთან.